საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-9/9709
26/09/2023

9709-15-9-2-202309261426

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

რეკომენდაცია

მსჯავრდებულ[redacted]პენიტენციური დაწესებულებიდან მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ" ქვეპუნქტების შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სწავლობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის [redacted] დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის, [redacted] საქმეს, რომელიც აცხადებს, რომ მისი მეუღლე და შვილი ცხოვრობენ ქ. თბილისში, ხოლო მშობლები - გურჯაანის რაიონში.

მსჯავრდებულის განმარტებით, რამდენიმე წელია, სასჯელს იხდის და ძირითადად, იმყოფებოდა [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში, თუმცა 2022 წლის 23 ივლისს გადაიყვანეს [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელიც შორს არის მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილიდან. აღნიშნულის გამო კი, ვეღარ სარგებლობს ოჯახის წევრებთან ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნითა და ასევე ამანათის მიღების უფლებით.

მსჯავრდებული [redacted] აცხადებს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია სოციალური კავშირის შენარჩუნება ოჯახის წევრებთან და სურს აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, იმავე ტიპის რომელიმე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა, რათა შეძლოს, ისარგებლოს ოჯახის წევრებთან ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნისა და ასევე ამანათის მიღების უფლებით.

ფაქტობრივი გარემოებები

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია [redacted] პენიტენციური დაწესებულებიდან[1] მსჯავრდებულ[redacted] მიერ ოჯახის წევრებთან შეხვედრის/პაემნისა და ამანათის მიღების უფლებით სარგებლობის შესახებ. [redacted] დაწესებულებიდან მიღებული პასუხით სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა,[2] რომ 2017-2021 წლებში, [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის განმავლობაში [redacted] 16-ჯერ ისარგებლა ხანმოკლე პაემნითა და ოთხჯერ - ხანგრძლივი პაემნის უფლებით. ამასთან, ამავე პერიოდში 38-ჯერ გადაეცა ამანათი.

ამასთან, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა [redacted] პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას,[3] მსჯავრდებულ [redacted] მიერ ოჯახის წევრებთან შეხვედრის/პაემნისა და ამანათის მიღების უფლებით სარგებლობის შესახებ. მიღებული პასუხის თანახმად,[4] [redacted] 2022 წლიდან დღემდე, ოჯახის წევრებთან შეხვედრის ან ამანათის მიღების უფლებით [redacted] უსარგებლია.

ასევე, სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელს, ორჯერ მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს,[5] მსჯავრდებულ [redacted] აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, რომელიმე შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანისა და მითითებულ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

პენიტენციური დეპარტამენტის მიერ სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ მსჯავრდებულს განსაზღვრული აქვს საშიშროების მომეტებული რისკი და მისი გადაყვანა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე რომელიმე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ იგეგმებოდა.[6] ხოლო დამატებით მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, [redacted] გადაყვანა არ იგეგმებოდა, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. ამასთან, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული იყო [redacted] პატიმარი, ხოლო N10 დაწესებულებაში - [redacted] პატიმარი.[7]

პირადი საქმის მიხედვით, [redacted] რეგისტრირებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ [redacted]

---

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 ივლისის N15-9/7009 წერილი.
[2] N8 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 27 ივლისის N207653/24 პასუხი.
[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 26 ივნისის N15-9/6289 წერილი.
[4] N2 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 5 ივლისის N184502/01 პასუხი.
[5] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 21 აპრილის N15-9/3974 და 2023 წლის 14 აგვისტოს N15-9/8044 წერილები.
[6] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარატამენტის 2023 წლის 28 აპრილის N115105/01 წერილი.
[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2023 წლის 23 აგვისტოს N234210/01 წერილი.

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, **თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება, ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი.**[8] ამასთან, სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებულის სოციალური კავშირების დაკარგვა (პაემანი, სატელეფონო ზარი, მიმოწერა), სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს გათავისუფლების შემდეგ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.[9]

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტური ხასიათის უფლებათა ჩამონათვალს და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის[10] დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში (2022 წლის 23 ივლისიდან) ოჯახის საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც, ფაქტობრივად, იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებას.[11] სასამართლოს შეფასებით, **ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებაში.**[12]

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრის განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის

---

[8] ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, N284403/05, პარ.78.

[9] იხ. დანილევიჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022, პარ. 62.

[10] გათვალისწინებული იყოს კანონით, ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

[11] ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, N11082/06, 13372/05.

[12] მესინა იტალიის წინააღმდეგ, პარ. N61, 25498/94, 28.12.2000.

ადგილებთან.[13] ამასთან, ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი თავის მხრივ სასჯელის აღსრულების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.[14]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ" ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.[15] ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ, თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.[16]

პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, **მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.**[17]

წინამდებარე საქმის ანალიზი

სახალხო დამცველის აპარატი სრულიად იზიარებს პენიტენციურ დაწესებულებებში უსაფრთხოების საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან პაემნის/ამანათის მიღების უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობა და ამ საკითხებს შორის სწორი ბალანსის დაცვა. როგორც დადგინდა [redacted] **ერთ წელზე მეტია, ვერ სარგებლობს ოჯახის წევრებთან შეხვედრის უფლებით.** აღნიშნული კი, საკმარისზე მეტი დროა საიმისოდ, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გადახედოს თავის იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც პატიმრის უფლება, ფაქტობრივად იზღუდება.

ნიშანდობლივია, რომ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „ვ.ა" და „ვ.ბ" ქვეპუნქტების თანახმად, N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია: 2325 ბრალდებული/მსჯავრდებული (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ.) და 101 ბრალდებული/მსჯავრდებული (ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11). ხოლო, ამავე ბრძანების მითითებული მუხლის „ზ[1]" ქვეპუნქტის თანახმად, N10 პენიტენციური დაწესებულების ლიმიტია 700 ბრალდებული/მსჯავრდებული.

ამდენად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში სახეზეა გადატვირთულობის პრობლემა, ვინაიდან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის მიერ

---

[13] ევროპული ციხის წესები, წესი 17.1.

[14] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 39, ნაწ. 1.

[15] გაერთის მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნ. მანდელას წესები), წესი N106.

[16] იქვე, წესი 59.

[17] პატიმრობის კოდექსი, მუხ. 46, ნაწ. 3.

მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ხსენებულ დაწესებულებაში ამჟამად, განთავსებულია [redacted] პატიმარი,[18] რაც აჭარბებს ხსენებულ დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილ ლიმიტს.

საგულისხმოა, რომ N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული არიან მსჯავრდებულები, რომელთაც სამსახურის გენერალური დირექტორის (შემდგომ – გენერალური დირექტორი) ბრძანებით განესაზღვრათ **დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სასჯელის მოხდა, ან რისკების შეფასების გუნდის მიერ განესაზღვრათ მომეტებული რისკი.**[19]

აღსანიშნავია, რომ [redacted] პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, N10 პენიტენციური დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, სადაც მოქმედებს მსგავსი სარეჟიმო და სხვა პირობები.

საგულისხმოა, რომ [redacted] მოთხოვნა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, უნდა გამორიცხავდეს მსჯავრდებულის კანონიერი უფლების უსაფრთხოების მოტივით შეზღუდვის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, ვინაიდან, [redacted] პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის განთავსებისა და გადაადგილების ზემოაღნიშნული პირობები. ასევე, N10 პენიტენციური დაწესებულების დებულებითა და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით, **ბრალდებულები და მსჯავრდებულები განთავსებულები არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**[20] ამასთან, დებულების თანახმად, **სუფთა ჰაერზე**[21] **გაყვანას ან დაწესებულების ტერიტორიაზე სხვა მოტივით გადაადგილებას წარმართავს დაწესებულების წარმომადგენელი.**

შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ N10 პენიტენციური დაწესებულების ლიმიტი მნიშვნელოვნად აღემატება ხსენებულ დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა იმ საერთო რაოდენობას, რაც სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა პენიტენციური დეპარტამენტიდან, მსჯავრდებულ [redacted] N10 დაწესებულებაში სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით გადაყვანა გამორიცხავს უსაფრთხოებასთან ერთად, გადატვირთულობის პრობლემის წარმოქმნას.

---

[18] 2023 წლის 23 აგვისტოს მდგომარეობით.

[19] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანება „N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ", მუხ. 2, პუნქტ. 2.

[20] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანება „N10 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ", მუხ. 12, პუნქტ. 1.

[21] ყოველდღიურად, არანაკლებ 1 საათისა.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებული [redacted] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, გადაყვანილ იქნას აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი